#არჩევნები2017: საინფორმაციო ბიულეტენი #6
ოქტომბერი, 2017 წელი

საიას სადამკვირვებლო მისიის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგი 1 ივნისს დაიწყო.

საია წინასაარჩევნო პერიოდს სათაო და რეგიონული ოფისების მეშვეობით, თბილისსა და საქართველოს 8 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელოში აკვირდება.

მონიტორინგის მიზანს, რომელიც **USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“** ფარგლებში ხორციელდება, წარმოადგენს ხელი შეუწყოს:

ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების, სამართლიანი სასამართლოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას და უზრუნველყოს ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. ასევე, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, კერძოდ კი, საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და ტენდენციებზე და ყურადღების გამახვილება ხარვეზებზე, რომელიც თან ახლავს საარჩევნო პროცესებებს. საარჩევნო კანონმდებლობაში პრობლემების იდენტიფიცირება და არჩევნების დასრულების შემდეგ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება.

დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ორგანიზაცია შესაბამის ინფორმაციას თუ საჩივრებს წარადგენს საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა შესაბამის უწყებებში, კანონით გათვალისწინებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

ბიულეტენში ასახულია ის ფაქტები, მოვლენები და დარღვევები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ საარჩევნო გარემოზე. მასში მოყვანილი სავარაუდო დარღვევებისა და ფაქტების შესახებ ზოგიერთ ინფორმაციასთან დაკავშირებით საიას დამატებით აქვს გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის ანალიზის შედეგებსაც, ასევე, გავაცნობთ საზოგადოებას.

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში.

სააგიტაციო ღონისძიებაში უკანონო მონაწილეობის დაკანონების რისკები

როგორც #5 საინფორმაციო ბიულეტენში აღვნიშნეთ, საია არ იზიარებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განმარტებას შევჩენკოს მიერ აგიტაციის ფაქტთან დაკავშირებით და მივიჩნევთ, რომ ეს განმარტება სააგიტაციო ღონისძიებაში უკანონო მონაწილეობის დაკანონების რისკებს ქმნის.

საიამ „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძისა და მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით გამართული ფეხბურთის მატჩის შემდგომ, უკრაინის მოქალაქის ანდრეი შევჩენკოს[1] მიერ უკანონო აგიტაციის ფაქტთან დაკავშირებით, შესაბამისი სახის რეაგირებით მიმართა ცესკოს. მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს ცესკომ საიას აღნიშნული განცხადების პასუხად განაცხადა, რომ ადგილი არ აქვს საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებას. აგრეთვე, არ იკვეთება წინასაარჩევნო აგიტაციისა და აგიტაციაში მონაწილეობის ფაქტი. გადაწყვეტილებაში განმარტებული იყო, რომ განცხადებაში მითითებული ღონისძიება წარმოადგენდა საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული და ჩატარებული იყო კონკრეტული საქველმოქმედო მიზნებიდან გამომდნარე. ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ წარმოადგენს საარჩევნო სუბიექტს, აღნიშნული ღონისძიება ვერ იქნება განხილული როგორც წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელი ნაწილი.

მიგვაჩნია, რომ ამგვარი მსჯელობა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და წარმოადგენს წინასაარჩევნო სააგიტაციო ღონისძიებისა და წინასაარჩევნო აგიტაციის ცნების იმგვარად დავიწროებას, რომ ამგვარი განმარტებით, სააგიტაციო ღონისძიებად შესაძლოა ჩაითვალოს **მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის მიერ ორგანიზებული და განხორციელებული ღონისძიება** და აგიტაციის გაწევად შესაძლოა ჩაითვალოს **მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის მიერ ორგანიზებულ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე** განხორციელებული მოწოდება კონკრეტული სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მაშინ, როდესაც საარჩევნო კოდექსი ძალიან ფართო ფორმულირებას მოიცავს და აგიტაციად მიიჩნევს **კანდიდატის მხარდამჭერ ან საწინააღმდეგო ნებისმიერ საჯარო მოქმედებას.**

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, **წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს (გარდა იმ პირებისა, ვისაც კანონი პირდაპირ უკრძალავს ამას).** შესაბამისად, **სააგიტაციო ღონისძიების ორგანიზატორი და განმახორციელებელი შეიძლება იყოს როგორც საარჩევნო სუბიექტი, აგრეთვე - ნებისმიერი სხვა პირი.** შესაბამისად, კანონთან შეუსაბამოდ მიგვაჩნია ღონისძიების არმიჩნევა სააგიტაციოდ იმ ნიშნით, რომ იგი ორგანიზებული და ჩატარებულია ფეხბურთის ფედერაციის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს საარჩევნო სუბიექტს.

[1] http://www.ffu.org.ua/eng/teams/teams_main/a_coach/

სავარაუდო ზეწოლისა და იძულების ფაქტები

<u>თეთრიწყარო</u>

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში გაუქმდა საარჩევნო სუბიექტის *„ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველოს“* პარტიული სია, ვინაიდან ყველა კანდიდატმა განცხადება დაწერა საოლქო საარჩევნო კომისიაში და უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე. არჩევნებში მონაწილეობაზე ასევე უარი თქვა ამავე პარტიის მერობის კანდიდატმაც და საკუთარი განცხადების საფუძველზე მოიხსნა რეგისტრაციიდან. როგორც ჩვენთვის ცნობილია, კანდიდატებმა განაცხადეს, რომ აპირებდნენ სამუშაოდ ან სასწავლებლად გამგზავრებას საზღვარგარეთ, რის გამოც მათ უარი განცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზე. აღსანიშნავია, რომ „ევროპული საქართველოს“ კანდიდატების უეცარი და ჯგუფური გადაწყვეტილება საკუთარი კანდიდატურების მოხსნის თაობაზე, აჩენს ეჭვებს კანდიდატების გულწრფელობასთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ კანდიდატურების მოხსნას წინ არ უძღოდა რაიმე განმარტება გარდა იმისა, რომ კანდიდატები სწავლის გაგრძელებას ან დასაქმებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ აპირებდნენ. ამასთან, პარტიის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ინფორმაცია კანდიდატების მიერ რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ ძირითადად მათთვის ცნობილი გახდა არა პირადად კანდიდატებისგან, არამედ - საარჩევნო ადმინისტრაციისგან.

„ევროპული საქართველოს“ ინფორმაციით, თეთრიწყაროს გარდა, სხვა მუნიციპალიტეტებშიც მოხდა კანდიდატების გადარწმუნება, რიგ შემთხვევებში - დაშინება, რათა მათ რეგისტრაციიდან მოეხსნათ[2] კანდიდატურები. აღსანიშნავია, რომ გარდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისა, ინფორმაცია სავარაუდო ზეწოლისა და იძულების ფაქტებზე ვრცელდება ასევე სხვა პარტიების კანდიდატების მიმართაც, მათ შორის, ასპინძასა და დმანისში. [<u>იხ. ბიულეტენი #5</u>]

აღნიშნული ფაქტის შესახებ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს ერთობლივი [<u>განცხადება</u>] და აღნიშნეს, რომ მსგავსი სახის ფაქტები მიუღებელია და დადასტურების შემთხვევაში, ჩრდილს მიაყენებს მშვიდ, თანაბარ, სამართლიან და კონკურენტულ საარჩევნო გარემოს. ამავდროულად, ვინაიდან გავრცელებული ინფორმაციები სავარაუდოდ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, აუცილებელია მათზე მყისიერი რეაგირება.

<u>ასპინძა</u>

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 7 ოქტომბერს დაბა ასპინძაში, ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებსა და გამგებლის წარმომადგენლებზე განხორციელდა ზეწოლის ფაქტი.[3] კერძოდ, 7 ოქტომბერს პარტია „ქართული ოცნების“ ასპინძის შტაბში დაიბარეს ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, ა(ა)იპ-ების და გამგებლის წარმომადგენლები. „ქართული ოცნების“ განმარტებით, აღნიშნული შეხვედრა იყო რიგითი შეხვედრა.[4]

აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს, გვიან ღამით, ასპინძაში მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის ლევან ცაბაძის ბანერი ჩამოხიეს. ასევე, პარტიის ოფისში შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის ზურა შავაძის განმარტებით, სოფელ ივერიაში მოსახლეობა დაშინებულია, მათ ემუქრებიან, რომ თუ ისინი „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს მხარს არ დაუჭერენ, მათ ქონებას პრობლემა შეექმნება.

აღნიშნულ ფაქტებზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, საიას წარმომადგენლები შეხვდნენ იმ პირებს, რომელთა მიმართაც განხორციელდა მუქარა. **ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა უწყებათაშორის კომისიას, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლოს წარდგენილი ინფორმაცია და მიიღოს შესაბამისი ზომები.**

---

[2] აღნიშნულ ფაქტებზე ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ საზოგადოებას მოგვიანებით მივაწვდით დამატებით ინფორმაციას.
[3] http://sknews.ge/index.php?newsid=15166
[4] http://sknews.ge/index.php?newsid=15166

საკრებულოს არალეგიტიმური სხდომა

ა.წ. 10 ოქტომბერს მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის საკრებულოს სხდომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ალიბეგაშვილმა განაცხადა, რომ სხდომას დაესწრებოდნენ მხოლოდ საკრებულოს წევრები, საკრებულოს თანამშრომლები და მედიის წარმომადგენლები. განცხადების მიხედვით, აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის მოქალაქეების ინტერესებისა და დედაქალაქის განვითარების ზრუნვის მოტივით იყო დასაბუთებული.

საკრებულომ თბილისის მერიის მიერ გაგზავნილ განკარგულებებსა და ხელშეკრულების პროექტებს მხარი დაუჭირა და „თაბორი რიზორთს“ და „თბილისი სითის“ მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხი, საზოგადოებაში არსებული მაღალი ინტერესის მიუხედავად, დახურულ სხდომაზე დაამტკიცა. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მერიის მიერ მომზადებული ზემოაღნიშნული პროექტები წინააღმდეგობაში მოდის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონთან, დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების რაციონალურად განკარგვას.

საკრებულოს სხდომა ხმაურისა და საკრებულოს უმრავლესობისა და უმცირესობის წევრთა დაპირისპირების ფონზე წარიმართა. დაინტერესებულ პირებს საშუალება არ მიეცათ დასწრებოდნენ სხდომას. ადგილი ჰქონდა საკრებულოს წევრის გამოძევებას საკრებულოს შენობიდან უსაფრთხოების სამსახურის მიერ, თბილისის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესის დაუცველად. აგრეთვე, საკრებულოსთან მიმდინარე აქციისას მონაწილე პირთა დაკავების ფაქტს. მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იყო პოლიცია, რომელთაც მოქალაქეებსა და მათ შორის პარლამენტის წევრებს, საქართველოს პარლამეტის რეგლამენტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საშუალება არ მისცეს შესულიყვნენ საკრებულოს შენობაში და დასწრებოდნენ სხდომას.

შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას შემდგომ გარემოებათა გამო:

- თვითმმართველობის კოდექსისა და თბილისის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის, აგრეთვე, მთავრობის სხდომები, საჯაროა.

- საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადოს მხოლოდ საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც გამორიცხავს საკრებულოს თავმჯდომარის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას სხდომის დახურვის შესახებ.

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია, რომ ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხდომაზე განიხილება სახელმწიფო, კომერციული ან პერსონალური ხასიათის შემცველი ინფორმაცია.

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, (საკრებულოს) სხდომის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ჩატარება იწვევს ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას სასამართლოს მიერ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 10 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დახურვის გადაწყვეტილება არალეგიტიმურია და არღვევს „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა“ და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტს.

საარჩევნო დავა - საარჩევნო ადმინისტრაციის ხელშეშლისა და ფუნქციებში ჩარევის არასწორი განმარტების დამკვიდრების პრაქტიკა და კანონმდებლობის განმარტების საჭიროება

- **წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა**

#3 საინფორმაციო ბიულეტენში საუბარი გვქონდა თელავსა და სამტრედიაში საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მიმართ საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციებში და საქმიანობაში ჩარევისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და 500 ლარით დაჯარიმების თაობაზე.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციისა და საერთო სასამართლოების მიერ არასწორი პრაქტიკა დადგენილი იქნა საარჩევნო კოდექსში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე მიღებულ 91[1]-ე მუხლთან მიმართებით, რომელიც საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევისათვის ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ზემოაღნიშნულ დავებში, ასევე მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ გამოყენებული მტკიცების სტანდარტის შეფასება. კერძოდ:

სასამართლო დაეყრდნო საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებას, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათ ხელი შეეშალათ, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები არც ერთ საქმეში არ მოიპოვება. მტკიცებულებებით არ დასტურდება ნამდვილად მიმდინარეობდა თუ არა თელავის საოლქო საარჩევნო კომისიაში „შიდა თათბირი“ ან „ითვლიდნენ თუ არა მხარდამჭერთა სიებს“ სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები. მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ზეპირ განმარტებაზე დაყრდნობით, სასამართლო ამკვიდრებს მტკიცების ტვირთის დაბალ სტანდარტს და ქმნის საფრთხეს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, მოხდეს მათთვის მიუღებელი ნებისმიერი კომუნიკაციის „ხელის შეშლად“ ან/და „ფუნქციებში ჩარევად“ შეფასება. ქმედებების ამგვარი სუბიექტური შეფასება და დაბალი სტანდარტით პირის სამართალდამრღვევად ცნობა ეჭვქვეშ აყენებს საარჩევნო ადმინისტრაციისა და შესაბამისად საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობას და ღიაობას, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს შესაბამის პირებს საარჩევნო პროცესის დაკვირვებაში.

- **კანონის განმარტების საჭიროება**

სამტრედიისა და თელავის რაიონული სასამართლოების დადგენილებებში გამოვლინდა კომისიის საქმიანობაში/ფუნქციებში ჩარევისა და ხელის შეშლის/წესრიგის დარღვევის გამიჯვნის პრობლემა. არსებული პრაქტიკა ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ კომისიის საქმიანობისთვის ხელის შეშლა და წესრიგის დარღვევა ავტომატურად წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის 91-ე[1] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ობიექტურ შემადგენლობას, რაც ამავე მუხლის დეფინიციას მნიშვნელოვნად სცდება. ამდენად, მსგავსი ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ

ზემოაღნიშნული ნორმის სწორი განმარტება ან მეორე მხრივ, მითითებულ ნორმაში იმგვარი ცვლილების განხორციელება, რომლითაც უფრო განჭვრეტადი გახდება მოიცავს თუ არა კომისიის საქმიანობაში/ფუნქციებში ჩარევა ხელის შეშლასა და წესრიგის დარღვევასაც, რომლისთვისაც საარჩევნო ადმინისტრაციის შენობიდან გაძევებასთან ერთად, შესაძლოა, ჯარიმაც იყოს გათვალისწინებული 500 ლარის ოდენობით.

<u>**რეკომენდაცია:**</u> აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული საკანონმდებლო რეგულირების და სასამართლო პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, აუცილებელია საარჩევნო კოდექსის მე-8 და მე-15 მუხლები განიმარტოს შემდეგნაირად:

- **ხელის შეშლა**

საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლად უნდა ჩაითვალოს საარჩევნო უბანში ყოფნის უფლების მქონე პირის ქმედება, რომლითაც საარჩევნო კომისიის წევრს ხელი ეშლება მისთვის საარჩევნო კოდექსით მინიჭებული ფუნქციის განხორციელებაში.

ხელის შეშლად და წესრიგის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს დამკვირვებელთა, მედიისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელება, მათ შორის მითითება კანონის მოთხოვნათა დაცვის თაობაზე, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრთა კრიტიკა.

- **ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა**

საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევად ჩაითვლება საარჩევნო უბანში ყოფნის უფლების მქონე პირის იმგვარი ქმედება, რომლითაც ეს უკანასკნელი უშუალოდ იკისრებს საარჩევნო კომისიის წევრისთვის საარჩევნო კოდექსით მინიჭებული ფუნქციის განხორციელებას. მაგალითად, წილისყრის პროცედურის ჩატარებას, ამომრჩევლის მარკირებას, ბიულეტენზე ხელმოწერისა და ბეჭდის განხორციელებას და ა. შ.

ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევად არ უნდა ჩაითვალოს დამკვირვებელთა, მედიისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელება, მათ შორის მითითება კანონის მოთხოვნათა დაცვის თაობაზე, აგრეთვე, საარჩევნო კომისიის წევრთა კრიტიკა.

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის წყალობით, რომელიც აშშ¬-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა განეული. საინფორმაციო ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლებელია არ გამოხატავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

THIS NEWS LATTER WAS MADE POSSIBLE BY THE GENEROUS SUPPORT OF THE AMERICAN PEOPLE THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). THE OPINIONS EXPRESSED IN THIS NEWS LATTER BELONG TO GYLA AND MAY NOT REFLECT THE OPINIONS OF THE DONOR.